



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატობიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 25

ივნისი 11 1895 წ.

№ 25

შინაარსი: დრამიდან „მედიან“ იკავს. სხვა და-სხვა ამბები.—მცირე შენიშვნა ა. კუიისთაველისა.—საურადღებო ამბები.—მეფე სოლომონ იმერეთისა და დ. სოლომონდ წოდებული (გაგრძელება).—ერთგვარი მამიუნები ელისა.—სამეურნალო წულები კოლორადოში.—ჩვენი საშინაო საქმეები (გაგრძელება) ფნასი.—საშინელი ქარიშხალი დუბუ მებრელოსა.—განჯელი მკითხველის შენიშვნა გურელისა.—საქვედმოქმედო საქმე.

აკვალის „რედაქცია თხოვს თავის 1894 წლის ტფილისის ხელის მომწერლებს, რომ ინებონ და წაიღონ პრემია „თამარ დედოფალი“. გარეშე პირთ შეტუძლიათ იყიდონ უ მანათათ. ამ წლის 1895 — ხელის მომწერლებს დაეთმობათ 2 მან.

რედაქცია იბყთაფება თამამშოვის სახლში, არტილერიის ქუჩაზე, კორპუსის და გოლაზინის პროსპექტის შესახვევში.

დრამიდან „მედიან“

სცენა

ბუხრიანი ძველებური ოთახი

გამოსვლა I.

მამს (კვარს ანთებს) რა საოცარი რამ დამე იყო?!
აქ ირყეოდა მთლად მთა და ბარი

და იქ ქვესკნელი ისე კენესოდა, თითქოს ჯოჯოხეთს აეშვას ზარი. და განთიადი მახრობელმა სანამ მგორეთ არ დაიძახა, ბოროტი კეთილს ემუქრებოდა, გულში იმედიც აღარ გვესახა (დღუქრდება). თუ ამეღამის არ მოუთხრია ამირანს მისი საჯაჭუო ჰალო, ამიერიდგან მის სატარჯველს, აღარ ექნება კეთილი ბოლო... (აღმოსაველითსაყენ გააღებს კარებს და გაიხედეს).

ზნელა. ჯერ კიდევ არა თენდება (დაიჩოქებს და ხელებს ააპყრობს)

ო, მზეო! მზეო! მალათა შინა, ხილული, მაგრამ მიუწოდებელი რომ ავიგია ბრწყინებულ ბინა... შენ გვედრები ქვეყნით ცოდელი: შეუქ დიდებულო და გულ-მხურაველი წინამორბედი შენი ვარსკლავი გამოგვიგზავნე!.. ისწრაფე მალე,



რომ ცის კამარას გავდოს კარი,
 ააღიფროს მისი ლაქვარდი
 და შენ საეღლ გზას მნათობთა-მნათო
 შენ სადიდებლათ მოფინოს ვარდი.
 შენც ამობრწყინდი და უთვალავი
 ისარ-სხივები მაღლით დაგეტყორცე
 მათ სამკურნალოდ შემწინებულ გულს,
 ტბილი ნუგეში თან შეხაორცე!
 მაშინ ყოველი შენი მშოსაეი
 ფერხულს დაბამს დასძახებს „თინას“
 და შენც მაარსო ყოველთა არს თა
 ზე შემოფრქვევით გეტყვის „მზე შინას“.
 ნუ მოიფარებ პირბადეს რისხვით,
 რომ ერმა არ სთქვას: არ გეხილაო
 და აღარ მოსთქვას საკინძ-ჩაწყეტით:
 „ო, დილაე! დილა! ო, შეე-დილაო!“
 (დაემხოზა დალოცულობს).

გამოსვლა II

ისეე და თირთაია გამოდის მეორე ოთახიდან

თირთა ძიძა!..

ძიძა (აღგება) რას ბრძანებ ბატონის დაო?

თირთა გათენებამდე არა დაჩაჩა...
 თუ ქალიშვილებს კიდევ ეძინოსთ,
 გამოაღვიძე ორივე ჩქარა,
 მორთე, მოკახმე ჩვეულეკრივად
 და გამოაწყეე როგორც იცოდე!..
 თიხის ჭურჭლები გამოფრცხე!
 ისარ-კაპარტიც თან მიაწოდე! (ძიძა მიდის)
 დღეს გაზაფხულის ბუნიაობა
 დადგა და ღამე დღეს უსწორდება;
 არც ნათელს არც ბნელს არ სურს დაკლება...
 საზღვარს არც ერთი არა შორდება,
 ამდროს მიწის ძერა და ზღვათა ღელვა
 ჩვეულებრივი არის მოვლენა,
 მაგრამ წუხელი კი მეტი იყო
 და გაგვირამდა მრისხანე ზენა,
 რომ უჩვეულო და უცნაურ ძალს
 არ მოეხიბლა ცა და ქვეყანა:
 გაისმა რალაც უტუზო საკრაუის
 საამო ქლერა, ვით ტბილი „ნანა“
 მან გაიტაცა მთელი სამყარო:
 შეწყდა მდინარე, შეჩერდა ქარი
 და ყურს უგდებდენ სულ-განაბული...
 აღარ იძროდა არც მთა, არც ბარი, (და-
 ფიქრდება)

თუ რომ შთიები არ ჩამოსულან
 მაღლით, ამ ქვეყნის დასამშვიდებლათ,

მაშინ ორთოვზ გამოგჩენია
 აქ, ჩვენც კოლხიდის გასადი ებლათ.

გამოსვლა III

ისეე, მედიდა და ძუძულდა გამოდიან, ხელში პატარა
 თიხის ჭურჭლები უჭირათ და მხარზე ისარ-კაპა-
 რტი აქვსთ დადამცული. უკან ძიძა მოსდევთ.

თირთა. გამოაწყობილან?

ძიძა. მლეიძარი დამხედენ!

თირთა. არ სძინებიათ? მაშ უნდა გკითხოთ: (მიუბრუნ-
 ნდება ქალიშვილებს).

ანლაგაზდისთვის ტბილია ძილი
 ნაშუალამებს. . და რამ დაგფრთხობთ?

შედა. რამ და სიზმარმა, ჩემო მამიდაე!

ენახ, სიზმარი გასაოცარი:

მიწა იძროდა და მასთან ერთათ
 მთლათ ირყევოდა კლდე, მთა და ბარი;

უნდა ქვეყანა მტერათ ქცეულიყო!
 სიკვდილს ველოდა გულ-განვთქილი,

მაგრამ უეცრათ რალაც საკრაუის
 გაისმა ქლერა წყნარი და ტბილი.

გაევი გარეთ; ძუძულდაც გამყევა.
 მაღლა აერში გაისმოდა ხმა
 და მიწაზე კი იქვე მახლობლათ
 იდგა უცნობი, საარაკო ყმა.

მისმა დანახემ მე თვალ მომჭკრა
 და დამებტედა გულის ფიცარზე!

თე-ბრუ დამეხეა, რომ წაებარბადლი,
 იქვე სიჩქარით მიეყვრდენ კარზე.

შემომაჩერდა, დიდნას მიყურა
 არ მაშორებდა აღარც ის მე თვალს!

პირველად ეგრძნობდი უჩვეულოსა,
 მაგრამ შემზორკველ უმაღლესსა ძალს.

აღარ მქონია მე საკუთარი
 აღარც სურვილი და აღარც ნება!..

სიკვდილ-სიციცხელ, არაორობა
 ჩემთვის სუყველა იყო ოცნება!..

ბოლოს წავიდა ის უკან-უკან
 ხელით მანიშნარომ წაყყოლოდი,

მაგრამ მე ვიდექ ისე უძრავათ
 თითქოს ზედ თავზე მწოლოდეს ლოდი.

საღ? ან ვინ ვიყუე? აღარ ვიცოდი!
 აღარც ცა იყო ჩემთვის, არც მიწა...

ამ დროს კალთაში ჩამავლო ხელი
 ძუძულამ და მეც გამომგვიდა.

ეგ აგზნდება კეთილად შეილო!
 მე მაგვევარ სიზმრებს უბრალოთ ესახე.

განწდება ვინმე აქ საკვიდათ

თირთა.

შენი გულისთვის და იმას ნახავ!
 შეშინებული) არა, მამიდა!.. მეც არ მიხდა!
 რომ იქიდაოს არ შეიძლება...
 იმისთანებს არ შეგებება
 ჩვენი პირობა და ჩვეულება:
 ის მიწის შეილი არ არის, ფეიკავე!
 თვით მნათობია, ცით ჩამოსული!
 ღმერთი ძლიერი და მშვენიერი,
 მხოლოდ ღრობით სხეულ-შესხული.
 თითქმის (გულში ინტუტებს) გეტყობა, შეილა, რომ
 შენ იმ სიზმრით

ჯერ ისევე ხარ გატაცებული.
 გაივლის ხანი, გამოგრევევი...
 დაგიშვიდდება მღელვარე გული.
 (ძუძუდას) შენც გაიგონე?

ქუშუდა. კი, ქალბატონო,
 მეც ყურს ვუგდებდი გაოცებული.

თითქმის. შენ ძიძვე?

ძიძა. არა! რას გავიგებდი,

დამფრთხალი, შიშით გატაცებული!
 თითქმის. სჩანს, რომ ესენიც მოტყუებულან
 მეტი სტრეფილით ქარბის გულის თქმით:
 გაზაფხულია, სისხლი თამაშობს
 და უჩურჩულებს ყურში სხვისი ხმით.

(ქალიშვილებს) ნუ აპყობიხართ მაგ ფუტოცნებას,
 უსაქმურობის უკუღმართ-ნაშობს!
 ჩვეულებრივად რომ მოემზადოთ,
 საქმეს შეუდგეთ, ყველას ისა სჯობს.
 სანამ ფუტკრები მძინარე ყვავილებს
 გალემებდნენ ბზუილით მწარით
 და ამოსწოვდნენ გულიდან სიტკობს,
 თქვენ უმალ მიდით და დაასწარით,
 რომ უხმარ ბამბით ამოუწმინდოთ
 სუნუნლოვანი ცვრიანი გული!
 ის ამირანის ცრემლები არის
 მარგალიტებთ ზედ დათხეული.
 რომ გაიჭინთოს ბამბა სრულიათ
 ჩასწურეთ ხოლმე მაგ ქიქვილებში,
 მაგაში ჩაელეს მეც სამკურნალო
 წამლებს, გასაჯლომს რბილში და ძელებში.


(ჩამოიღებს ფაშა) ახლა, მოდით და ჯამში ჩაუწეთ
 თქვენი ისრები!.. შეასვით შხამი,
 რომ გაკაწრულმა მაგითი მტერმა
 ევლარ იცოცხლოს ვერც ერთი წამი.
 თუ დინახოთ ცაში არწივი,
 მაშინ შეილდ-ისარს მოავლეთ ხელი,
 სტყორცეთ ხელ-მარჯველ! გაუბეთ გული
 და ამოგლიჯეთ მწარე ნალველი!
 სწორეთ მესამე მამლის-ყიულზე
 რომ ირიყრაქებს აქ უნდა იყოთ.
 მოსაკრფათ კი ყვავილ-ბალანებს
 მზის ამოსვლამდე ხელი არ მიჰყოთ!
 ახლა კი წადით და გამარჯობა
 თქვენ გამოსთხოვეთ სისხლის მოყვარეს
 იმ ძლიერსა და იმ თავ-მდაბალ ღმერთს,
 რომელიც ლაყვარდ ცის არე-მარეს
 მწყისს და აძოვებს ზეციურ ვერძსა
 ჩვენი კოლხიდის საყუთარ მფარველს.
 სთხოვეთ ორივეს და შევედრეთ
 ნუ ავალბენ სხივით მოსილ ხელს!

(ძიძას) ძიძვე, შენც წაჰყე (ქალიშვილები მიდიან)
 (ძიძა მიჰყვება)

(თორთა დაფიქრდება) ჩემს გარდა სხვებსაც
 გაუგონიათ, მოუტრამთ ყური,
 არც ჩანგურს გავდა და არც სალამურს
 ის ხმა, უცნობი და უცნაური!
 მე ეს მაკვირვებს, ვინ უნდა იყოს
 ასე ხმა ტკბილად ჩანვის დამკერელი,
 რომ გაიტაცა ცა და ქვეყანა
 და დაშვიდა წყელიადი ბნელი:
 ღამეც რა ასე გადიარია!..
 ნეტავ, ვიცოდე რას მოასწავებს? (ღიღ-ხანს
 ჰეიქრობს)

გავიდე ერთი ზეცას შევხედო
 და დავეკითხო კიმციმ ვარსკვლავებს;
 გადავიკითხო ცის კაბადონზე
 ხვალნდელი დღე თუ რას გვიპირებს?
 მზე გავვიცინებს თუ მოგვიშულებს?
 ნუგემ-გეცემს ღებნით თუ ავგატირებს?
 (გაღის გარეთ. ფარდა ეშვება).

აკაკი



სხვა-და-სხვა ამბები



ლეს კვირას მოზრძანდება გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილოკვი. კარგი იქნება დეტრკოლებლიე გამაიზარის ბაქოდან რკინის გზით, რადან ნიაღვრების გამო გზები გაფუჭებულია. მაგალითად: სამშაბათს ის მატარებელი, რომელიც ტფილისში უნდა მოსულიყო პირველის ნახევარზე, მხოლოდ ღამის ცხრის ნახევარზე მოვიდა.

* *

ერთ დღეჯერებელ ამბავს იწერებიან გორიდან ვაზ. „იერი იაში“ ეთომი აუქმებენ იქაურ ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიასთან დაარსებულ ქართულ სომხურ პირველ დასაწყის სკოლას, რომელიც არის გამართული მომავალ სოფლის მასწავ-

* *

ქალაქის გამგეობამ 8 თბათეიდან ხორციის გაყიდვის ნიხრი შეტკალა. ამას იქით ქროზის ხორცი გაიყიდება 7 კ. სუკი — 12 კ. და ცხვრის ხორცი 8 კ

მცირე შენიშვნა

ქუთაისის სათავადაზნაურო შკოლის გამგე კომიტეტს, როგორც ეს „სახლ მიმოსილვაში“ ამოვიკითხეთ გადაწყვეტის ამავე შკოლის ინსპექტორათ მოაწიოს ნაცვლათ ვ. რ. უფიანისას ს. ბ. დოღობერიძე. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ შპინ იწება კანონიერი, როდესაც „ქართულთა შორის წინაგითვისის გამაგრებულელი საზოგადოების“ გამგეობა, როგორც უმაღლესი ინსტანცია, თვის დასტურს დასცემს. ჩვენს აზრით შკოლის გამგე კომიტეტის გადაწყვეტილებას თუ უკანონო ანა, უხეშული მანძი არის, და ი თისთვის: ინსპექტორის ადგილს მისიონერნი ქუთაისში, თუ თფილისის მსგავსებაში არ მივიღებთ, არა ერთი და ორი იქნებოდა; და მამსადამე გამგე კომიტეტმა რათ იწება, რომ მხოლოდ ერთათ-ერთი განდიდატო წარმოედანს გამგეობას დასამტკიცებლათ, და დანაწიწკვი გი კმრისტიც არ დამრს, სასურველი იყო, გეონებ, რომ გამგეობას სცოდნობა, ვინ თხოულობდა ამ ადგილს, და მისი გესჯა, თუ ვინ ღირსი იქნებოდა, ამას უფრო პირუთ, ნელთ გადაწყვეტდა თვით გამგეობა. ქუთაისის სასწავლი და შეგნებული პირები ისე ურთიხვნი არ იანას, რომ მათ თბილისში ეერ იცნობდენ და მამსადამე წინაგითვისის გამაგრებულელ საზოგადოების“ გამგეობას სცოდნობათ თვისუფლათ, პირუთუნათ, თათქმის შეუდგომლათ შექმლა ღირსეული განდიდატის ამორჩევა, თუ გი შკოლის გამგე კომიტე ამის საშუალებს მიეცმა. მართლდა, დღესაც შეუძლია გამგეობას სხვა

ვინმე გარეშე პირი, განდიდატთ არა დასახელებული, დაამტკიცოს, თუ გი, რასაკვირველია, ქუთაისის შკოლის გამგე კომიტეტის განდიდატზე უარს იტყვის, მაგრამ ამას ბეგრი სხვა უხეშულობას მოჰყვება. შესაძლოა გამგეობამ დაამტკიცოს რომელიმე გარეშე პირი, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ამ უკანასკნელს უარი განაცხადოს და ამითა სქამის წინსვლადობა ასე თუ ისე შეფერსდეს. ამის მავალით ჩვენ გიღვავ გგონებ; თუ გი გავისხვებთ. აი, ამ უხეშულობის თვიდან სასცდნათ, სასურველი იყო, ვიმეორებ, შკოლის გამგე კომიტეტს წარმოედანას არა მარტო ერთათ-ერთი განდიდატო, არამედ ევლათ, ვინც გი კომიტეტს თსიგნით მიმართავდა. რაც შეეკება ამ ერთად-ერთს განდიდატს, გულ ასდით უნდა ვთქვა, რომ ბანი ს. დოღობერიძე ყოვლად შეუსაძის ამ ადგილისათვის. მე პირდათ დიდ მტრებს ვსცემ ბ. დოღობერიძეს, როგორც ჩემი შკოლ მასწავლებელს, როგორც ფრთად განვითარებულ და სასწავლ გაცეს, მაგრამ ეს გი აშკარას, რომ სათავადაზნაურო შკოლა, დღეს-დღესათი სულთ მოზრძავი, მის ხელში საშუამოთ განისვენებს „სარამის წაღას მინა“. ამ შკოლის რიგთან ნიადაგზე დაქუენება გარდა სწავლის და განვითარების, მითითოვს დიდ მხნეობას, ენერჯიას და ადმინისტრაციულ ნიჭს. ეველა ამ თვისებას ბ. ს. დოღობერიძე მოსაგებული და ასეც უნდა იყოს. მთელი შკოთსე და საუფუნე ბანი დოღობერიძე დაუდლებათ, თავკამოდებით მოღაწეობდა სამასწავლებლო სამარესზე ქუთაისის გამინაზამი, რომელსაც მსხვერმლათ შეწინა თვისი ახლავაზობას, მხნეობას, ენერჯიას და ეველა ის, რაც განსაუთოტრებთ ქართულ კაცისათვის შეადგენს „წი-

დათა-წიდას“. დღეს-დღეობით ბნ ღღაბებრივს უკი
რეკა შეუდრო თავისუფალი ცხოვრება, მოკლეთ ქუთა-
ისის სათავად-ახნაურთა შკოლას კი — დაქანცვი, შრო-
მის მოკვარე, ახლს ნადაგზე აღმოცენებულ იდეალებ-
ით გამსჭვალული მსწერ და გონებით განვითარებული
ინსექტორი, რთა ჩვენმა ახლ-თაობამ მომაჯავში დი

რსულათ აფერიალოს თვისა გულის თქმის დროს შეიქმნა
ღრმით დაწმუნებული ვარ, რომ ქართულთა შორის
წინა-კითხვის გახვედრელები საზოგადოების გამკო-
ბას წევრები მთადა მიწიჭებულ უფლებებით დინსტ-
ულათ ისარგებლებენ და ქუთაისის სათავად-ახნაურთა
შკოლას ბედ-იღაბს საფუძვლად ნადაგზე დააყენებენ.
ა. ყუმსააველი

საყურადღებო ამბები

ქუთაისიდან გეტყობინებენ, რომ სემი-
ნარის რექტორი პეტრბურგში მიდისა და
უნდა უწმინდეს სინოდში პროექტა შეიტა-
ნოს; რათა სემინარია გელათში ააშენონ. საბრალო
სემინარია! იგი ჯერ აქ არც კი დაარსებულა და
ახლად ევზის ადგმას უპირებენ მას მისი „კეთილის
მღამნი“... საზოგადოთ აქაურახალ დაწესებულებებ-
ზე რუსები რომ იტყვიან: „не верьт“ ის უნდა
ითქვას. არ გასულა ერთი წელიწადი მას შემდეგ,
რაც საფილოქსრო საღვურის გაკეთება გადაწყვიტა
სამინისტრომ; ის იყო იმის აგებას ეგლოდით და
მის მაგიერ გაზებებმა შეგეტყობინა, რომ საფილო-
ქსრო საღვურის გაკეთება ქუთაისში გადაიდგა და
მის მაგიერ საქარის საქოლე (штормилек) უნდა გა-
დიდდესა.

ორი წელიწადი არ არის, რაც აქ სამეურნეო
სასწავლებელი დაარსდა და მის ერთ დონეზე დად-
გომას არა ეშველარა: ჯერ-ჯერობით მან ორი მმა-
რთეელი და 3—4 მასწავლებელი გამოიკვალა.
დღესაც თავს ანებებს მას მასწავლებელი ბ. მარბე-
დაძე და როგორც გავივით, ახლანდელი მმართვე-
ლი ბ. ლამკინიც მალე წავა, რადგან იგი დროებით
ყოფილა აქ გამოგზავნილი, არ იქნა ამ სასწავლე-
ბელს არ გამოუჩნდა გულ-მოდინე მეურნენი, რა-
თა საზოგადოებას დაწახონ მისი (სასწავ-
ლებლის) დაარსების სარგებლობა. ჩვენის ფიქრით,
საქიროა ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების გან-
ყოფილების წევრებმა მიაქციონ ყურადღება იმ გა-
რემოებას, თუ, რატომ იცრუებენ გულს ამ სასწავ-
ლებლებზე ჩვენი მეურნენი და ორი-სამი თვის შემ-
დეგ ვარბიან, რაგორც უფრო შემოსავლიან ადგილს
მონახვენ?! ჩვენ კი გგონია, რომ ამის მიზეზ-
გარდა ნიეთიერთა დაუკმაყოფილებლობისა, არის
სხვებიც და ამ მიზეზთა გამოარკვევა უნ-
და ითავოს საზოგადოებამ, თუ უნდა შკოლას ააკი-
ლონ წარა-მარა უტნობი და უცხო მმართველების
და მასწავლებლების მისგლა-მოსვლა, შკოლის და-

თვლიერება და გაქცევა. რაც შეეხება რისამე გაკე-
თებას სამეურნეო ნაწილში, ამის თავდები შკოლის
შეენიერი მდებარეობაა, მხოლოთ საქიროა ნამდვილ
მშრომელ მეურნეს ჩაბარდეს შკოლა, რომ მისი სა-
ქმე წინ წაწიოს.

იქიდანვე. ეს ერთი თვეა ყოველ დღე
გან-უწყვეტლათ აუარებელი სიმინდი მიდის რაჭა-ლე-
ჩხუმში სენათის შარა-გზით. ყოველ ცისმარდ დღეს
5—8 კამჩის ურემი და აშდენიეე ჩალვადრის ცხე-
ნებით გააქეთ სიმინდი. აშობენ, რაჭა-ლეჩხუმში
სიმინდის ფასმა აიწიაო. სევა დროს ძვირათ გვინა-
ხავს რაჭა-ლეჩხუმში მიმავალი სიმინდი და წრეულს
კი ნამეტანიც არის, ეტყობა რაჭა-ლეჩხუმს წელს
ძალიან უჭირს და ამისათვის საქიროა ეისიც მივა-
ლოგობა არის ადრე გაიგონ მათი გაქიერება და აკ-
ნობონ საზოგადოებას, თორემ იგი კახეთიეთ შიმ-
შილობას ეერ აიტანს. საქიროა ადგილობრივმა კო-
რესპონდენტებმა და საზოგადოლოთ — საგარკოთ რაჭა-
ში წამეტელოებმა ამ ვარემოებას ჯეროვანი ყურად-
ღება მიაკციონ და გაზებების საშუალებით ხალხის
ნამდვილი მდგომარეობა აცნობონ საზოგადოებას
და ისე არ მიაუფრქონ საქმე, როგორც წარსულ
წლებში კახეთის შიმშილობის დროს.

საქართველოს სასულიერო მოამბის მეათე ნო-
მერში ამოვიკითხეთ სხვათაშორის ზაქათალის ოლ-
ქის მისსიონერის საუბარი კახისა და ყორალის ქრი-
სტიანებთან იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებდა
ქრისტიანობა ხსენებულ ოლქში. საუბარი ერთობ
წყალ-წყალაა, თხელი და ვაცვეთილია შინაარსით;
არამც თუ ქრისტიანმა, უჯანსენელმა მამადინმა
ქართველმაც კი იცის დაბეჯითებით ეველოფერი ის,
რახედე საუბრობს მისსიონერი, მაგრამ ნაყუა და
უმალოთ ლეკვა დიდი ხნის გამოარკვეულ შეგნებუ-
ლი სადნისა ჩვენ არ გვაკვირებს, არც შეეგნებო-
დით ხსენებულ საუბარს, სხვაფრიე რომ არ იყის
იგი საგულსხმია, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ

ენამ, რომელზედაც წარმოუთქვამს იგი მისიონერს ბ. ტ. ივანიცისი აი, რა ეწერა ამ საუბარს სათაურათ: *Всегда... говоренная на грузино-инглийскомъ диалектѣ*. ეს „*грузино-инглийски диалектѣ*“ ი რალა არის. ეგრე ვაგვიგია! „ინგლო“ ეთნოგრაფიული ლექსი არ არის, ე. ი. ამეგარი ხალხი არაოდეს არ არსებობდა დედამიწის ზურგზე, მაშასადამე, რა ენას შექმნიდა ეს არა არსებული არსება?! ამ ბატონებს, მეგრელები, სამურზაყანოელები, ფშაენი, ხვესურნი და სხვა. სულ სხვა-და-სხვა ტომის ხალხთა შიაჩნით და რალა საქირია, რომ ინგლოებზე მოაპყრინოთ საქართველოს ძეძუს. ჩვენ მაინც ნულარ ვაუძღვებით მათ წინ და ნუ მოვიგონებთ რალაც უცნაურ „დილაქტებს“ თორემ ნახამთ თუ მეგრელების აშორდამს საინგლოშიაც ბარტყი არა ჰქნას!

**

**

სოფ. შუშოქუდი. ამ უქანასკნელ დროს შემოქმედის სოფლის საზოგადოება ალაპარაკა სხვა-და-სხვა უსიამოვნო შემთხვევებმა. არც ვასამტყუნარია, რადგანაც სოფლის ხარჯი და ზარალი ყოფილა დამოკიდებული იმისთანა კაცზე, რომლის თავიდან მოშორება შესაძლებელი არის. მაგრამ ამდენხანს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო საზოგადოება მიჩურმებულა, სენის თავიდან აშორებას ეგრე ბედავენ და არიან ამისთანა ვაჭირებულ ყოფაში, მაგალითათ: ა) გზა, რომელზედაც დაიყარა კენჭი გასულს 1894 წელს, ნატანებიდან ოზურგეთამდის—ეპრობათის წესით,—ბ) მახრის უფროსის შემწეობით ჰქონდა ნაწილი ამ გზისა გასაკეთებლათ აღებული ზემოხსენებულ საზოგადოებას. მოგება უნდა შეეტანათ ხაზინაში „სასარკენტო“ საზოგადოების სასარგებლოთ. ზედამხედველათ დანიშნული იყო მამასახლისი, რომელმაც გზის გაკეთების შემდეგ, გამოაჩინა მხოლოდ ასი მანეთი, შემდეგ მამასახლისმა მოახდინა სოფლის ყრილობა და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ეს ფულებიც მისთვის ეჩუქებინათ, თუმცა უარი უთხრეს, მაგრამ დღემდის ეს ფულები მის ხელშია და არ გაუსწორებია საზოგადოებისათვის ანუ ხაზინაში. ბ) ამავე საზოგადოებამ ისურვა გამოეწერა მდგომარე 1895 წლის, ქართული ჟურნალ-გაზეთები და შეგარავს 18 მანეთამდე, ეს ფულები ჩააბარეს მამასახლისს, რომ მიეცხარა დანიშნულებისამებრ. მაგრამ საუბედურათ ჩვენდა, ჯერაც ეგრე ვაგნდით ღირს ზემოხსენებულ ჟურნალ-გაზეთებისა და ლოდინი მეორე ქარაოდა. ახლა ვაევიეთ, რომ აქ მოყვანილი მაგალითები და სხვა ბევრი კიდევ მოხსენდა ბ) მახრის უფროსს და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ იგი მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას, ესე იგი გამოესარჩლება დაჩაგრულთ.

მართლის მოქმედი

**

გურიიდან გვატყობინებენ, რომ ამისთანა ცხარე მუშაობის დროს სწორეთ უღმერთობაა, რომ ჯარის გაყვარის თაბახზე საიდან-სად, შორეულ სოფლებიდან ხალხს იბარებენ ოზურგეთში და იქ ზოგჯერ თითო კვირაობით აცდევინებენ და ამასთანავე აცდენენ ხალხს.

ჩენი საშინაო საქმეები

შუშოქუდი *)



მართლთა ერის ცხოვრება „ვაგეროპიელების“ (ესესხულობ ამ სიტყვას ბ) ხომლეგლისაგან) გზას დაადგა. ამას ყველა კარგათ უნდა ამინდევს, თუ იგი არ არის მოკლებული დაკვირების ნიქს და ან ძალათ არ იბრმავებს თვალებს... ორჯერმა ძალამ, ანუ მიზეზმა წარმოშობა ასეთი ვითარება და ცხოვრებას ეს მიმდინარეობა მიეცა. ერთია შინაური ძალა, რომელიც ჩვენ ცხო-

ვრებასთან ვაუყრელია, მეორე კი ვარეგანი, ძალდატანებული. ამ ორ გვარმა მიზეზმა კი ისეთი პირობანი შექმნა, რომელიც ზედ-მიწევნით ეხმარებიან, შევლიან კაპიტალიზმის გაუქმენას, და მტკიცე ფეხზე დამყარებას ჩვენში...

მთელი ამიერი კაცასია რუსეთისათვის საუკეთესო ბუნებით უმდიდრეს მხარეს წარმოადგენს. ამიტომ რუსეთი ცდილობს აქ ვაავრცელოს და დაამყაროს თბილი ქვეყნების ნაწარმოებთა კულტურა ჰევა ჩენის ქვეყნისა ამას ხელს უწყობს და შევლის. ამას გარდა, ჩენის ქვეყნის სიახლოვე დასაუღეთა ევროპის სახელმწიფოებთან მეტათ აადვილებს, რომ ამ ნაწარმოებთ ზაზაზა ვაგნენს და ვასავალი ექნეს ევროპაში. ეს ვარემოება უკვე შეგნებული აქვს მთავრობას და სხვა-და-სხვა საშუალებ-

*) იხ. „აკალი“ № 24

ბას ხმარობს, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. ამავე გარემოების ბრალია ისიც, რომ ამ ბოლო ხანებში კერძო კაცებმა ისეთი წარმოება დაიწყეს ჩვენშია როგორსაც მაგ. ხელი მოკიდეს პაპოებმა და სხვა ჩაქმნი. თვით დედა-მამის გულში დაულოებმა და დედმამის უსარებლობა, სრულიათ გამოუყენებელმა სიმედრებმა, ისე იცვალა ფერი, რომ შეიქმნა შესაძლებელი წარმოება და ეპარობა ქიათურის ქვა-გუნდისა, ტყეებულის ქვა-ნახშირისა, ბაქოს ნავთისა და სხვა რაჟებისა. ამ სამმა წარმოებამ ევროპაში უკვე გზა გაიკაფა და დიდი ზახარიც მოიპოვა. ამ სამს ადგილს თანდათან თავს იყრიან, ერთის მხრით, ფულის მექანიზმ, მეორეს მხრით კი — მუშა ხალხი. ჩვენი ხალხი ჯერჯერობით ცოტათი ტყენება ამ ადგილებში მუშაობას, მაგრამ სრულიათ არ არის საჭირო წინასწარმეტყველის ნიჭი გვეჩინდეს დაბეჯითებით ეთქვათ, რომ ასეთი მუშა მთელს არმიებს შექმნის. ჩვენს ცხოვრებაში თანახმით აწინდელ ვითარებისა ისეთი ძალები მოქმედობენ, რომ რიცხვი მუშებისა, რომელთაც საკუთრი ხელისა და ძალ-ღონის მეტი არა გაჩნდითა, რათა მოიპოვონ დღიური საზრდო-საყები, — დღითი დღე მატულობს და იზრდება. საქმე, აი, რაშია.

უფადლო-მამულოსა და ბოვანო მუშას ჰქმნის, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ ჩვენში დასამუშაებელი მიწა-წყალი ცოტაა. ამას მიუმატებ ხიზნების მდგომარეობა და ბორჯომში მომხდარი ამბებიც. მესამე მიზეზი ის არის, რომ გაღარიბებული თავად-აზნაურობა, რომელიც დღეს დიდი სიამოვნებით ჰკადრულობს ლაქიობასა და ხახაზობას, ოღონდ კი აცდეს მიწის მუშაობას თავის სოფელში, თავის წამინაყმევის თვალწინ, — მალე გააზრდებლეს მუშათა რიცხვი, კოელოსფრათ თავისუფალი, ე. ი. შემქმნის ისეთ არსებათ, რომელთაც საზრდო — საყების მოსაპოვებლათ ეძნებათ მხოლოთ და მარტო ხელ-ფეხი, ფიზიკური ძალ-ღონე. თუ მოვიკონებთ, რა განსაცდელი დაატუდა თავზე ამ უკანასკნელ დროს სამეგრელოს თავად-აზნაურობას, მაშინ ამ მოსაზრებას უარს აღარაინ ვანუცხადდეს. — თვით სოფლის ცხოვრება ნივთიერათ დღითი-დღე უკან-და-უკან მიდის სხვა-და სხვა მიზეზებისა გამო, რომელთაც ჩვენ ახლა არ შევცებებით. კითხვებს ეს გარემოება შეუძლია გავიგოს, თუ ექითნებლად დაბა-სოფლებიდან მოწერილ ამბებს*). სოფლის ჯოჯოხეთურსა და

აუტანელს ცხოვრებას დღეს, ვისაც სულ ცოტა მხნეობა და გამბედაობა აქვს, გაურბის და ქალაქებში იხიზნება, იმ ადგილებში ზინაფდება, სადაც შესაძლებელია დღიური ქირა იშვავოს (მოიგონეთ, რომ ბათუმი და ბაქო ამ რამდენიმე წლებში გამოვიდა. არც ის არის დასაყვიარო, რომ სხვა ქალაქებშიც თანდათან იზრდება და მატულობენ). დღეს ყოველგან და ყველაფერს ქაჭაქი ბატონობს და განაგებს. ქალაქი, რასაკვირველია, თავის საკუთარ სარგებლობას მიდევს. სოფელს კი არაინ მზრუნველი არა ჰყავს და არც არავითარინე საშუალება აქვს, რომ თავის ინტერესები და სარგებლობა ცნობიყნოს, შეგნებულთა დიაცვას. ასეთია მიზეზები, რომელნიც შევლიან სოფლის გასიყვნას. ყველა ამ პირობებს ერთი მოსაზრებაც უნდა დაუმატოთ ურწმუნო კაცების დასაჯერებლათ, რომ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ჩვენში კაპიტალიზმი ფებს იკილებს. ის მცენიერი, რომელმაც კარგათ გამოაკრია და შეისწავლა კაპიტალიზმის ისტორია და ვითარება, ამბობს, რომ კაპიტალისტურ მრეწველობას წინ მიუძღვის სხვისა კაპიტალიზმი. ჩვენში ყველა, ვისაც „თვალნი ხეფით და ყურნი სმენათ“ აქვს, შეამჩნევს, რომ ეს სახანაშო კაპიტალი უკვე გაბატონებულია და ფარფაშობს... არსად, მაგონა, ფული ისე ძვირი არ არის, როგორც ჩვენში — დღეს სარგებელს თხოულობს გამსესხებელი. ეს გარემოება კი ისეთი ძალისაა, რომ დღითი-დღე ხალხი ცარიელზე რჩება, ნივთიერი ქონებისაგან თავისუფალი ჰხდება, და რამდენსამე პირების ხელში თავს იყრის ყოველგვარი სიმდიდრე. ეს გარემოება ჩვენსა ბელლეტრისტებმაც უკვე შეამჩნიეს: მოიგონეთ „პირველი ნაბიჯი“ გწერეთულია და იქ გამოყვანილის ბახვა ფულავას თავგადასავალი და აგრეთვე „ბნელოს“ არტემა არ-ზუმანოვიც.

ახლა ყოველგან ფასი დაპკარა უწინდელმა მამა-პაპურმა წენ-ჩეუელებამ და ცხოვრებამ. დღეს ყოველი კაცი გათანაწორებულია. ყველას უფლება აქვს ისარგებლოს და დატუბეს თანამედროვე ცხოვრებისა და განათლების კულტურით. მაგრამ ნამდვილ ცხოვრებაში ასე როდი ვახლავთ. ნამდვილათ ის დაწეულებამ ამ სიამოვნებას და მინიჭებულ უფლებას განახორციელებს, ვისაც შეძლება, ფუფია აქვს. ეს გარემოება ყოველ კაცში სურვილის იწვევს შეიქნეს, ამა თუ იმ საშუალებით, ფულის ბატონი. ამიტომაც ყველა ცდილობს საკუთარი რომ ვაჩინოს და წარმოება ვაძლიეროს, ვაფართოვოს, რომ ექნეს ზვერი შემოსავალი, თავის მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და მცირე შრომით მეტი სარგებლობა ნახოს. ასეთი მდგომარეობა კი წარმოშობა

*) უკუთარქამ ჩვენი მეთისკული სასოკადარქა, გორკსოლქსტრუბების მატიონ, „ბნელოს“ და ნისოშკელის მოთხრობებს კარგათ შეისწავლიდეს; გორკსოლქსტრუბები უთოსისმართ უფრეთა მიერ ბისს შედგებილი. კარგათ მეთისკული ჩაუკვირდებოდას „ბნელოს“ და იალქბუქს მას, ვითარცა სოციალურ რამასს.

ბაგს ხოლმე უმაღლესის კულტურის მოთხოვნილებას. მაგრამ რადგან ჯერ მთელი რუსეთი და კავკასია უმეტესობაშია დაუცინებელი, ამიტომ ეს მოთხოვნილება სხვაგვარათ ემაყოფილებდა. ამის პირდაპირი შედეგია ყოზილობაში ვაჭრობა და მოვაზნებობა, მეორე მხრით, ამისავე ბრალია გადასახლებების, გადახიზების სურვილი, რომელმაც რუსეთში ძლიერ იჩინა თავი და რომელსაც მთავრობა ახალშენებით აკმაყოფილებს ჯერ-ჯერობით და არა სამუდამოთ. — და ეს ვარგობა ხომ ხელს უშლის თავისუფალი მიწის შექმნას, ჩვეუმი კი, როგორც ყველამ უწყის, საქმე, აი, რაიანის მდგომარეობაშია. მთელს დასავლეთ საქართველოში მეკათ საგრძნობელია ადგილამართლის სიფიწროვე, რაოდენობის სიმცირე. აქ უმეტეს ერთ-ორი დესიატინა თუ მოდის, — და, ამა, ასეთის მცირე მიწაწყლით როგორ შეიძლება კაცმა ყოველი თავისი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილოს, თუ რომ ინტერესის, კულტურის ცოდნაც არა აქვს? დღემდე ამ ვაჭროვებას დასავლეთი საქართველო იმითი იტყობდა თავიდან, რომ მევენახეობას მიღებდა. ენახი, მცირე ადგილზედაც კი გაშენებული, საგრძნობლოთ უფრო მომცემიანია, ვიდრე სხვა გვარი მეურნეობა, რომლის ცოდნაც ჩვენს გლეხ-კაცობასა და თავდაზნაურობას აქვს. მაგრამ ქართველობას აქაც ბედმა უმტყუნა და ფოლქსერია ენახი ხელიდან გამოაქალა, თუ ჯერ სრულიად არა, მალე კი გამოაქალის. მაშ რა საშუალება უნდა იმპარს ქართველმა მეურნემ რომ მიწას არ მოეზორდეს და თავისი სხვა-და-სხვა გვარი მოახვენილებანი კი დაკმაყოფილოს? — იმ ვარგობა-


ში; რომელშიაც ჩვენ ვიყავებით, ე. ი., იმ უმეტესობასა და უბედობლობაში, რომლითაც შეკრული ვართ, ერთ-ერთის საშუალებას წარმოადგენს სადრე გადახიზება და სხვა ადგილებში დაბინავება მაგრამ საით უნდა გადახიზნის ქართველი კაცი და, ან ვინ ჰყავს მას გზის მაჩვენებელი და პატრონი? — არსათი და არაიენ: ყველამ კარგათ იცის, რომ შავი ზღვის ნაპირებზე დაბინავება ქართველობას აღკრძალული აქვს... მაშასადამე, გადახიზნის იმედი ქართველს არ უნდა ჰქონდეს. მეორე საშუალება კი, რათა მიწას შერჩეს და მას არ ვაზორდეს ხალხი, არის უმაღლესი კულტურით შეიარაღება, ინტესიური მიწათ-მოქმედება, საზრიანი მეურნეობა, აგრონომიული და ტექნიკური სწავლა-განათლება, რომლის საშუალებითაც შესაძლოა მცირე ადგილსაც მეტი შემოსავალი გამოაღებინო, მოაქციინო. ამ იარაღით კი ჩვენი ხალხი შეკრულით როდი ვახლოვით... აქვე, რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ, იფე კრედიტზე და სასოფლო ბანკებზე ვთქვათ. უეჭველია, იფე კრედიტი საშუალებას მიცემს მეურნეს წარმოება გააძლიეროს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მეურნე იმეცოდნა აგრონომიულის და ტექნიკურის სწავლისა, ანგარიშ მიმცემი და მასში ვაჭარგებებული და დახველოვებული. მაშინ იფე კრედიტი ზედმიწევნით შესასრულებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ ახლა რა? — და ის, რომ იფე კრედიტით მხოლოდ თითო-ორიოლი საარკებლებს. ამას კი რა მოჰყვება, ახლავთ ენახავთ.

(შემდგე იქნება) ჟაზა

ერთგვარი მაიმუნები


(წოდებულია „ჩეივის საკი“).

მს შესანიშნავი მაიმუნები სახსრებით ამერიკის დაბურთულ ტყეებში ცხოვრობენ; შესახებდათ ისინი ძალიან მოგვაგონებენ აღამიანს; რგვლი თავი ისეთი სქელი თმით აქეთ შემოსილი, რამ ქულ-დაბურთული გეგანებთ; ამასთანავე სქელი და გრძელი წვერი უმშვენებს ნიკას და ლოკებს; თავის თმას ეს მაიმუნები ყოლიფერზე უფრო უფროთხილდებიან და ისე ფაქრათ ნახავენ მას, რომ



კებლებსა ტყუილათ არა თქვა: „ვერც ერთი კობტა და კაპუჩა კაცი ვერ მოუვლის ისე თავის თმას, როგორც ეს ლამაზი ცხოველი“.

სიმალით ეს მაიმუნები ძალიან პატარები არიან, ერთ ჩარეკზე მეტი არ იქნებიან, კულები კი მთელი ძანის სიგრძე აქეთ. ამათ უყვართ წყლის პირას მდებარე ტყეები და საცხოვრებლოთ სულ ამისთანა ადგილებს ირჩევენ: ცოცხალკე იშვიათათ შეხვდებით, ყოველთვის ცილობენ დიდი სახვაგაღებმა შეადგინონ და მძურათ იცხოვრონ. ცნობილი მოგზაური შომბურკი, ამ მაიმუნებზე შემდეგს მოგვითხრობს. „ერთ დიდ წყლის ნაპირას მე დავინახე მა-



სამკურნალო წულები კოლორადოში

ლალ ხეებზე მჯდომარე მაიმუნები; ისინი ძალიან მიმზიდველ სურათს წარმოადგენენ: გძელი თმები ლამაზათ შუაზე გაყოფილი ქონდათ, მელიასავით რბილი და ბამბულა კულები ხის ტრატებზე შემოეხეიათ, კუკიანური თვალები სასიამოვნო გამომეტყველებას აძლევდა მათ სახეს. ამ გვირი მაიმუნის ჯერ არ მენახა, რასაკვირველია ნაპი-

რზე გამოვედი და დედამამალ მაიმუნს დაუმიხვე თოჯი, მაგრამ მაშინვე ვინანე: მამალმა ისე საკოდვათ, გულსაკლავათ დაიკენესა, როცა ჩემი ტყვია მოხვდა, რომ პატარა სულთ-მობრძავი ბავშვის კენესა გვეკონებოდათ*.

კ — დი

სამკურნალო წყლები კოლორადოში

რდილოეთ ამერიკის შუაგულში, სადაც ხრიაკი მთებია და ვიწრო ხეობები, მდინარე რიო-გრანდოს ახლოს არის ისეთი ადგილი, რომელიც დიდი ხანია განთქმულია სამკურნალო (მადნის) ცხელი წყლებით. ეს არე მარე ზამთრობით იშვიათს და საოცარ სანახავს წარმოადგენს. გარშემო მაღალი მთები სულ დათოვლილია, სახლების სახურავებიდან ყინულის სვეტებია ჩამოკიდებული, გატიტლებული ხეები თეთრათ არის შე-

მოსილი, ერთი სიტყვით ღრმა ზამთარია ვარშემო, მაგრამ ამავე დროს აუზებში, ცას ქვეშ, ხალხი ისე ბანაობს, თითქოს ცხელი ზაფხული იყოს. ეს იშვიათი სამკურნალო წყლები კოლორადოს სულ ახლოს არის და ათ ადგილას ამოაღულს ისე, რომ მთელ ტბას — ოცდაათ საექნე მეტს ცხელი წყლი აესებს. გარდა ამისა რამდენიმე აუზიც შიგ სახლებშია. წყალი ისეთი ცხელია, რომ უშიშრათ ზამთარშიაც გარეთ შეიძლება ბანაობა, რადგან წყლის ცხელი ორთქლი ჰაერსაც ათბობს, მაგრამ თუ ქარი ამოეარდა ამ დროს, მაშინ ბანაობა საშეშა და ჯანმრთელობას აუნებს.

* * *

მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად ქოღებული.

შეფუგე *)



ირშვი ერისთავი დიდხანს არ მოკარებია მეფეს, სანამ არ დარწმუნდა, რომ მეფე სახუმროთ აღარ გაძლიერდა და მორჩმით ზის ტახტზეო. მაშინ კი წამოვიდა შეილებიანათ მეფის მისალოცავათ, წყვილი ირემი და საქებარი სახორცეები წინ დლით მოართვა. მეორე დღეს მოვიდა, ბინა უჩვენეს, გადახტენ, ტანისამოსი გამოიკვალეს და იახლენ მეფეს. ორი დიდებული მეფის კარის კაცი წინ მიუძღოდათ. მეფე აუღვა. ერისთავებმა კვანტ გადღებთ თაყვანი სცეს და გაჩერდენ. *ყოველთა ძლიერო მეფეო იმერეთისა დიდო სალო-

ვთან — ჰკადრა როსტომმა — მევილოცავ გამოჩვევას, რათა ძლევა შემოსილმა მარჯვენამ თქვენმა დათრგუნა წინააღმდეგნი მტერნი თქვენი ქვეშეფერხთა თქვენთა. თქვენ დაავიჯივინეთ სამეფო თქვენი ესე, ვითარცა წინაპარმან თქვენმან ლეონ ბაკრატუნმა, რომელსაცა დაადგა თვით ანგელოსმა თავსა ზედა ზეგარდამო ხელთუქნელი გვირგვინი, ვითარცა უბრძანა მაცხოვარმა მოციქულსა პეტრეს: შენ ხარ კლდე და ამა კლდისა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო. ეკრეთე შენ ხარ კლდე გვირობისა და სიმტკიცე ქრისტიანობისა. თქვენ შეიმოსეთ ძალი ძლიერი, გაანთლეთ იმერეთი და ამიერითვან მამნიდანის მძორებითა აღარა შეიბილწების ნათელბებული სამშობლო ჩემი. ვთხოვ ზეგარდმო განგებას ესრეთ განაგრძოს დღენი თქვენი მრავალს წელს და შემდგე თქვენის მეფობისა მეგვიდრეთა თქვენთა ესრეთავე ძალა და დიდება შეიმოსონ ვითარცა თქვენ*. მეფე თეოდომში შეჩერებოდა და ბოლოს ბრძანა ცივათ: როსტომ ერისთავო, ღმერთსა ვთხოვ ის შემასრულებიას შენთვის და ჩემი სამე-

*) ის. „კვლევი“ № 24.

ფოსთვის რაცა მსურდეს და გულში მედვასო. დარბაისლებმა დასახეს ამინ. პაპუნა წერეთელმა კი ორჯულ გაიმეორა ამინ ამინო. ერისთავებმა კვალადე თაყვანი სცეს. მეფემ ფეხი წინ წაშალდა, როსტომმა გულზე აკოცა, მეფემ თავზე, შვილებმა კი ხელებზე ეამბოურეს მეფეს. ბრძანა მეფემ სელოს მოტანა და გვერდით მოისევა ერისთავი. შვილები კი მოშორებობ კერძო ადგილას დასვეს. ისეთი რამ სანახავეები იყვენ ერისთავები, რომ უცნობი ვინმე როსტომს მიუვთ ჩასთვლიდა და მის შვილებს მეფის შვილებთან. დიხანას დარჩენ მეფესთან ერისთავები, ერთათ ისაილღეს და სადილს შემდეგ კი გაცადნ ბინაზე. შვილებმა უთხრეს როსტომს, ძალიან აღერისიანთ გვეყარობა მეფე! მამამ მწარეთ გაილიმა, თქვენ ვერ ატყობთ თვარა ვე აღერის რისხეზადეც უარსილაო. პაპუნა წერეთლის ამინ-ამინი კარგს არასფერს მოასწავებდა და თუ ჩვენ თავი დღეს არ დავიძვინით როგორმე, ცუდათ არის ჩენი საქმეო. შორს გამჭვრეტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუჯანა მეფეს და თხოვა: რადვანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირით ხლებმა, სამსახური და ერთგულები გამომჩინა არ შემიძლია ვთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ამბრალებურში კოშკები და სასახლე, სევას ციხე და სასახლე, ონში ციხე, სასახლე და თვით პატარა ქალაქიც. ამასთანავე ყოველი ჩემი რაჟის სამფლობელო აზნაურ გილხებდით და სამაგიერო აქ მახლობლათ სადმე მიხობითათო. მეფეს ეს ამაგიე დიდათ ეამა. აღუთქვა სამაგიეროს ბოძება. როსტომს ვეზირობა უბოძა. მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს დიდებუება. მერე შემოაკრიბნა ვეზირნი და დიდებულნი და ჰკითხა თუ რა მიეცა შენანებული ერისთავისთვის ამ დროისთვის სამაგიერო. მათის რჩევასამერე დაიბარა მდივანი და მისცა მას დროამოტიკ შედგენაზე თანაშემწედ ოტია ჩხეიძე. ჩვენ მეფეთ მეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან და დედუფალთ დედუფალმან მაკირნემ ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ ჩემს ერთგულს დიდებულს თვადს როსტომ ერისთავს, შვილთა და მომავალთათ თქვენათა. ასე რომ გიბოძეთ ყმათ სოფელს გვეგულთა მცხოვრებნი გლენი ყოველივე გვარისანი, გარდა ამისა. სოფლები: პატრიკეთი, უკანეთი დ მესხეთი, რაც ამ სოფლებში მცხოვრებნი გლენი და აზნაურნი არიან. საჩემო ყველანი შენ გიბოძეთ. გარდა ამისა სამოსახლოთ გიბოძეთ გვეგულს თამარ მეფის ნასახლი, ციხე და ეკლესია, რაც ნაკლებლთა აქეს მე უნდა გვაჯეყო, გარდა ამისა სამი ათასი ქვეყნირველივე შენის მოსახლობისა. გიბოძეთ გარდა

ამისა სამეფოს სალორის ტყე — ქუთაისიდან სამხრეთით ხონის წყლის მდინარის ლეღვმდის, აღმოსავლეთით წყალ წითელს მდინარის დოღ. დასავლეთით რიონის მდინარე. გიბოძეთ მთა საჯოგეებათ — სახელწოდებული ტიტეველად. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარი, დასავლეთით ჩიჯავაძის საზღვარი, სამხრეთით ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით სოფლები. ესე ზემოხსენებული აზნაურნი გლენი მიწა წყალ-მთებიტურთ შენთვის გიბოძებია. უკეთუ ჩენვი ერთგული და ბრძანებისა ჩენისა მორჩილი იქნები ესე წყალობა შენ და არცა შენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს არაოდეს ვაშსა. აწ არიან სიგელისა ამისა მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: წერეთელი პაპუნა, აბაშიძე პატა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა დივანი, პაპუნა და ქიხოსრო ახვლეძეები, თანდარუბა იოსელიანი და დაბაზისა ჩემისა ერინა. ეს ღრამაძა ხელნართულ ბეჭდითურთ უბოძა ერისთავს პაპუნას ხელით. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდნ მეფესთან კვანტ გადადებული, მადლობა შესწირეს და მოახსენა რომ მას მისცეს მეციხოვნეები და ციხეები ჩაიბაროს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა. მეფემ დაისტური უბოძა და ციხეების მისაღებათ მეციხოვნეები ბასილა და კვირიკა იამანიძეები გაატანა. გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წვიდა რაჭვს. ნაქერალას მთის გვერდზე შემოხენდა ერთი რაჭველი აზნაური მეფესთან მომავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბრძანა თუ შენი ხელით არ მიეცე მეფეს რაჟის ქვეყანას ახოთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა: მიტანის დროს ორივე ხელი რომ მომჭრას მეფემ მიანიც შეიართმევო. წიგნში ასე ეწერა:

შენს მოკვლ და შეგამგობა შენს ტანდალასას,
შენი უღასტურებასა კი, არღვევს პატონიქობასას.

ეს წიგნი იმ აზნაურმა მიართვა მეფეს. მეფემ წაიკითხა და პაპუნა წერეთელი შემოიხშირა და კითხა: ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ დავატყუიდა, რომ ხელიდან გაგვძრომოდლო? პაპუნამ შორს დაიჭირო, მაშინ ვადასცა მეფემ წიგნი და წაიკითხა. წერეთელს კიდე არ ეჯერა და ამბობდა რა ვეცი რაც ის განხრებული მიდილიდაო. განხრებული მიტომ წაეიდა, რომ ჩვენ მოგვატყუა და ხელიდან გაგვიძროა — ბრძანა მეფემ. და თუ ასე არ იყოს ამ წიგნის მოწერას ვერ გაბედვადლო. გზაზე ერისთავმა უთარა შვილებს: „რომ ასე არ მოგვტყუებნებია ჩემი საქმე ცუდათ იყო და უფულო დავემარცხებდენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წერილ-წერი-

ლათ იკრიბებოდენ ფიცის კაცები. ლორთქიფანიძეები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები და სხვანიო. ოთია და მისი ძმა ივანეც ცალ-ცალკე მოვიდნენ, რომ იქვე არ შევეყვანეთო. ეგ ორი ძმა მესხი და არაოლ ბატონიშვილი სწორეთ რომ სასაშროანი იყვნენ და სხვების კი რა მოგახსენოთო? ჩაილაპარაკა მეთოდები. შენმა ვახუშტი არც სხვები იყვენ მავათზე ნაკლებიო. ბევრი უკეთესებუც არიან იმერეთში, მაგრამ ერთსეულე მავათ დეარზნიათ ვაქცაობის სახელი და ის არისო, მიუჯო უმცროსმა ძმამ გიორგიმ. ამ საუბრით მივიდნენ ჩაქუში თავის სასახლეში სოფელს ბარაკონს. ბასილა და კვირიკა იამანიძეებს ციხის გასაღების მაკიერთა შემდეგი წიგნი გაატანეს მეფესთან:

ეს ასე არ ექნებას ბასილა და კვირიკაო
 ცისკს მათიშუკს მინდოროს მამლეკს დაკვედე უნდა ვირიკაო?!.
 წადით უთხაროთ თქვენსა მიუჯს მე ვახუშტი დიდი როსტამი
 მე ერთსეულეთ ვახუშტი, მიპირობიდი დაღატს რატომ?
 სიტუეით გითვლი ვინსდა გურს ხელა იადე რაჭაზედ
 მისხედი, რომ ადრე გომრწინალო სწორი გადაგები იახუშედ.
 რაჭის ბეკარას ვიდეუბ არ გურიდეუბი ახუშედ
 უბაქროთ გირი დამბით დამტერეულ ხელტის ბაკუშედ?
 თუ მიპირებ ამოწეკატას აწ მოსრძინდი რადას უოჯნი?
 ცისკ მიდეგას მალად გელდეუხ და ხედ მოკვეთის ბარაკონი,
 ხიდის კარში შეგველები მუჯეს და გოშუკები სამგრონი
 ჩემი იყო ჩქერ წაგროთვი გუდრო და რაჭა-ონი.
 ჩემი წინაშარი იყო ერისთავი კასპური,
 თამარ მიფის მამობაღას ემანი ეგად ორი ბერი,
 მე გარ მისი ტომასკან ვერ მტირებ ტუვილა მღერი,
 გემორწინილო არ ვახუშტი ჩაქუაშ შენი ვერი.

ეს წიგნი იამანიძეებმა მისცეს სახლთხოუცესს. იმას არ უნდოდა ეტყენებია მეფისათვის, მაგრამ დაფიცდა აღარ შეიძლებოდა და მიართვა. ამ წიგნის წაკითხვაზე მეფეს ცუბელი შემოედგა. მოიხმო სარდალი წულუკიძე და უბრძანა: წადი ახლადე ბარაკონში ერისთავები გასწვიეტ ცალ-შვილით, ციხეები, კოშკები და ყოველივე მათი შენობა დასწვი, დამტერიე, ხიდის კარის კოშკები, თუმცა სალი კლდე არის გამოკვეთილი, მაგრამ წაიყვანე ისტაბტები მიეცი ლალუმი და მოშალე. ერთი სიტყვით ქვა-ქვანზე დადულეო. ეს რომ დარბაისლებმა და კარის კაცებმა ვიკეს, იუცხოეს უწევნოთ ასე მძიმე საქმე ბატონს ვერ უნდა გადაწვიეტათო. ერისთავთან ომი, როგორ ეკადრება. ერთ მის თავადთან ბრძოლა სირცხელი არისო. ამას გარდა, ერისთავთან, იმის სიმავრების პატრონთან, არც ასე ადვილია

შებნაო. ყველანი ერთად შევიდნენ მეფესთან და თავიანი სცეს ჩვეულებრაე. მეფე ტახტზე ბრძანდებოდა. შუბლოზე რალაც მწუხარების ხაზი ჰქონდა ვადაკრული. მეტის სიფიცის გამო თვალთავან ცუცხლს ყრისო იტყოდი. დიდებულნი თავდახარლი შეუკრებდნენ, პირდაპირ თვალს ევრავინ უმაგარი ვედა და საძნელოც იყო. უბრძანა დაჯდომა. ჩაიწკრიბენ თავ თავის ადგილებზე. წერიეთელმა მდივანს გადასცა ერისთვის მოწერილი. მდივანმა წაიკითხა. ყველანი განციფურებაში შევიდნენ და იწყეს დარბაზობა.

მაჟნა. მეფემ გადასწვიეტა ჯარის ვაგზანა, ვაწყეეტა ერისთავების, დაქცევა და დაწვა ყოველი მათი შენობისა, თქვენ რას იტყეით?

მაჟნა ამაშიე, ღირსია ყოველი ვეარ უბედურების მიყენებისა. როგორ ვაბედა ან დატყუება და ან ამ წიგნის მოწერა; დიან, კარგათ უნებებია ბატონ მეფეს.

ბერი წულუკიძე. რადან ნაბძანები მაქეს საომრად წადელა ვერას ვიტყვი

შენი ლორთქიფანიძე, ადგება და მეფეს შეჰყურებს.

რას ვაჩერდი ბერი?

— მეშინია მოგახსენო.

— ნებას ვაძლევ. სთქვი!

— ერისთავი შენი ყმა არის. საკადრისი არ არის ერთის თავადისათვის აგრე აჩქარება ბატონო მეფე. მასთან ამასც ნუ დაიფიცებთ, რომ სამასი კაცი იმერეთიდან, ოღმინდან და გურილიდან თან ახლავს. ესენი ყველა კარგი ოჯახის შვილები და ძლიერ მარჯვეები არიან. ორასი კაცი რაჭველი, ოსი, ჩერქეზები და სენი ახლავს. ამას გარდა თავის საყუთარი ოჯახის ვამეც და მოსამსახურებოცა ვაეს ყველა იარალ ქემე. ხიდის კარში კოშკები, ორივეს მხრით სალი კლდეა გამოკვეთილი. რიანის ხიდის საძირკველის თავები ორივეს მხრით კოშკების კარებზე არის მიდებული. ორმოც-ორმოცი კაცი თითოში ვაეს ყარაულად. ერთი თასს დაამარცხებს. ამხრალეთურის ადგმა კი არ არის საძნელო, თუმცა ჯარი იქაცა ვაეს კოშკებში, მაგრამ რადან ვაშლილი ადგლო არის, როგორც ხოტევიდან დაინახანენ მიმავალ ჯარს, სასახლის კოშკებს დასტოვებენ და მიმეტყვნიან ხიდის კარის ყარაულებს. ეს კოშკები ისე მიუდგომელია, რომ ზარბაზანი არ მიუდგება და თოფიც არ მოეხერხება და იმით კი ხელის გულზე ეყოლებათ მიმსვლელები, ამ ხიდის კარს გარდა შესვლა არ შეიძლება, ონის მხრიდან რომ მოიაროს ჯარმა, ცალის მხრით რიანის წყალი მიდის და ჩაივლის ციხის და სასახლის ძირზე და მეორე რით სალი კლდე მიდის. შუაში ვიწრო გზა მი-

ყვება. ციხე მისთანა ადგილას აქვს რომ არც ონი-
დამ მიმსვლელს და არც ხილის კარიდან მიმსვლელს
არ ააქვდნენ ზარბაზნის ტყეიას. უტყვევლია დიდ
ზარალს მოგვცემს ერისთავი და შეფერცვებით...

ზურაბ მაქვლამე. — ვმ თუ ერთ თავის ყმას მეფე
ვერ შორევი რაღა მეფობა ქეია ამისთანა მეფობას?
ყმა კი არა ამხანაგი ყოფილა და ის არის!

ოტია ჩხვიძე. — ერისთავის დასამორჩილებლათ,
რომ რამდენიმე ათასი თავად-ზნაური დეკარგოთ რა
მოგება იქნება?

თამაზა მესხი. — თუ ერთი თავადის დამორჩილე-
ბა ჩვენ ქვეყანაშივე ასე გაგვიძინელდა, გარეშე მო-
საზღვრე მტერი რაღათ ჩავეადლებს და არც ჩასაე-
დები ვიქნებით

მამულა მლივანი. — ასეა ბრძენთაგან ნათქვამი:
„ხერხი სჯობია ღონესო, ვინცა კი შიგონებსო“.
ძალაუც და ხერხიუ ორივე შეგვიძლია. რა საქები
იქნება ერთ კაცს თავი შეეკალათ? და ვის? ისევე
ჩვენ ყმას. ის შემძერალა კლდეში ისე, როგორც
დათვი სოროში და იქადება! ამას უნდა მოტყუებით
გამოყვანა, მერე რაც ეკადრება. . .

პაპუნა აბელაძე. — ნათქვამია ესეც: „სადაც არა
სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“. ო კაცი
შემძერალა გამოქვამულ კლდეში, შენი ნასროლი
ვერას აკლებს და მისი არ ავცილდება. ამისთანა
ადგილზე ომს უომობოდა სჯობია, ერთხელაც იქნება
ისეც ჩავეივარდება ხელში.

ქახოსრო აბელაძე. — ათი ათასი მეომარი, რომ
გავიზავნოს ერთ კაცზე სარცხელი იქნება. ის არ
არის მეფე და არც მთავარი. იმისთანა დიდებული
თავადები სხვებიც არიან ჩვენ სამეფოში. მისი ძალა
მაოლოთ ადგილას სიმაგრე და რათ შევაწყდეთ?
სჯობია როგორმე აქეთ მოიტყუოთ.

თანდარუხ იოსელიანი. — შეიძლება არც კი შე-
გებვას, დავეტოვოს ციხეები, გადავიდეს საზღვარ
გარეთ, შემდგენსათვის მოემზადოს შეკრიბოს ოსეთის
ჯარი მოამხროს ჩერქეზის მთავარი ყიზილყო ბა-
ტონი, მისი დიდი მეგობარი. ამას გარდა სენათოს
მთავართან მომძახლეობა აქვს, აფხაზეთის მთავარი
ქელეშხვე შარაშხიძე შელობილია მისი. ესენი ყვე-
ლა ჯარს ათხრევენ, ერთი სიტყვით ყოველი კუთ-
ხით შფოთსა და უქმყოფილებს ავეტიცხს. არ ივა-
რებს ჯარის გაგზავნა. ვეკლოთ რამოდენიმე ხანს
და მერე მოიტყუოთ რამე ნაირათ

ამროს მეფის ძმა არჩილ შემოვიდა. გააშინ-
ჯეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა:
მართალია ჩვენ ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არი-
სო. როცა იქნება ჩავეივარდება ხელშიო. მეფე სრუ-
ლებით გაუშვებულ იყო, ხმა არ ამოუღია. კარის კა-
ციებმა თაყვანისცეს და წაივდნენ თავ-თავის სახლებ-
ში.

(შედეგა იქნება)

სამინელი ქარიშხალი

(გაგრძელება მოასრობის „პირველი ტაღლები“ *)

I

ქენბოდა ნაშუალამეფის მეორე საათი, როცა
აბასთუმნის ერთთა-ერთ სასტუმრო მადნის
წყლებსი“ წინ გაიხრდა ფოსტის ომნიბუსი.

— მოვედით! დაიძახა კონდეტორმა: გაღმო-
ხტა კოფორდან და შეიხრდა ომნიბუსში — გაღმობძან-
დით, ეს არის სასტუმრო! უთხრა მან მგზავრს. მგზა-
ერიც მაშინვე გამოვიდა ომნიბუსიდან და პატარა ჩა-
მოღნით ხელში წავიდა სასტუმროსაკენ.

— ნომერი არის? ჰკითხა მგზავრმა მსახურს,
რომელიც დერეფანში შეხვდა. მსახურმა ათავალ-
ნათავალიერა მოსული და პასუხის ნაცვლათ თე-

*) „პირველი ტაღლები“ ვერ „იკრასია“ დაიუ-
ქდა 1892 წელს და ასეა ტაღლები არის გამოცემული
კ. მასხუღას და ი. კილაძის მიერ.

თონაც ჰკითხა:

- მეტი არაინ მოსულა?
- არა, მიუგო მგზავრმა.
- არა, არა, დაუძახა კონდეტორმაც: პასხა-
ქირი მეტი არაინ ყოფილა. სხვები აქაურებივე იყენ,
თავ-თავიანთ ბინაზე წაივდნენ.

— ნომერი ერთის მეტი არა გვაქვს და სამ
მანეთზე ნაკლებ ვერ მოგვცემთ თქვა მსახურმა, რო-
ცა ომნიბუსი წარიხინდა და მარტონი დარჩენ.

— სამ მანეთზე? გაციკრებით წამოიძახა მგზა-
ერმა: ასე ძვირათ განა შეიძლება?

— აქ აბასთუმნია. მოკლები მოუტყრა სიტყვა
მსახურმა.

— ორ მანეთს მაინც დამჯერდ-თ ამაღამ, უთ-
ხრა მგზავრმა: და ხელო, იქნება, წაივდე კიდევ.

— არ შეიძლება; სამი მანეთიც იაფა. ჩვენ
უფრო ძვირათაც ვაქირავებთ...

— კარგი, კარგი; რაც არის, არის! გარეთ ხომ
ვერ დავრჩები ამაღამ? წამოყვანეთ!.. გააწყებტინა
მგზავრმა და მსახურიც რაუდუნა ნომრისკენ.

მეორე დღელს, როცა მგზავრი აღდა, მსახურმა
სასტუმროში ჩამომხტართა ჩასაწერი წიგნი შემოაუ-
ტანა.

— ჩაწერეთ ყველაფერი, რაც საქირია! თქვა მან და გადაშალა წიგნი. მგზავრმაც აიღო კალამი და იმ ხაზში, რომელშიაც „სახელი, მამის სახელი და გვარი“ ეწერა, ჩაწერა: „დათა ზურაბის ძე მერცხა-ლაძე“; მეორე ხაზში, რომელშიაც წლიდანება უნდა ჩაწერილიყო, ჩაწერა: „24 წლისა“; მესამეში, წოდებისაში: „კანდიდატი ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა“; მეოთხეში, რომელშიაც უნდა ჩაწერილიყო, საიდან მოვიდა მგზავრი, „თბილისიდან“ ჩაწერა და მეხუთეში კი, რომელშიაც უნდა ჩაწერილიყო, რისთვის მოვიდა აბასთუმანში, აღარაფერი აღარ ჩაუწერია...

დაიხ, ეს მგზავრი იყო ჩვენი ნაცნობი დათა მერცხალაძე, რომელმაც მამის ემი გაათავა უნივერსიტეტი და, აი, ივანობისთვის უკანასკნელ რიცხვებში აბასთუმანში გაჩნდა. მეგრე რაბმა არ ჩაწერა წიგნში, რაზე მოვიდა აბასთუმანში იქნება იმიტომ, რომ უიმისოთაც ცხადი იყო: მოვიდა აბასთუმანში ოთხის წლის განმავლობაში რუსეთის მკაცრ და აუტანელ ჰაისიდან დაზიანებულ სიმრთელის გამოსაბრუნებლად, ბევრის ჯაფაშრომისავე დაუსტებულ სხეულის ხელ-ახლავ გასამაგრებლად. არა, ამისთვის არ მოსულა დათა აბასთუმანს, თუმცა საქირია კი იყო მისთვის მართლა სიმრთელეზე და სხეულის გამაგრებაზე ზრუნვა, ისეთი კვალი დატოვა რუსეთში ყოფნას. მაშ იქნება იმის აბასთუმანს მოსვლას პირდაპირი მიზეზი არა აქვს, თავის სამშობლოს გასაცემად და მოგზაურობის შემთხვევით, სხვათა შორის, აბასთუმანს სანახავათაც მოვიდა? არა, დათა უბრალო ტურისტი არ არის; დათა საქმისთვის მოვიდა და დიდთ საქირია საქმისთვისაც; იმისთანა საქმისთვის, რომელზედაც არის დამოკიდებული მთელი მისი მომავალი ბედ-იბაღი. დათა მოვიდა სამოსწავლო ოპიის მზრუნველის სანახავთ, რომელსაც უნდა თხოვრო ადგილი. როგორც კი ვიქითი დათამ წელის დასრულა კურსი და შეუდგა ადგილის ძებნას. ანოტომაც ჩაივდა თბილისის მზრუნველის სანახავთ და რაკი უკანასკნელი საზაფხულოთ აბასთუმანში იყო, რომ დრო არ დაეკარგა, ამხანაგების რევით დაედგინა უკან.

„ესეც ჩვენი ახალი თაობა!“ დაკინებთ წამოიძახებს მკითხველი: „ჯერ არც კი ჩამოსულა უნივერსიტეტის კიბიდან და ახალეე ადგილს ეძებს! რა უყავით, ბატონო დათა მერცხალაძე, თქვენი რეალობები? რა იქნა თქვენი მამულის სიყვარული? სად გაჭრენ თქვენი სურვილები, ფიქრები, აზრები ასე უცემ? პატარა მაინც მოგეთმინათ, მივცხედ-მოგცხედლთ იქითაქეთ, დაკვირვებოდით ცხოვრებას, ყურთ

დაეგვლოთ თქვენის სამშობლოს მადის ცემისთვის, შეგვენოთ მისი საქირიობა, გეკრძაოთ მისი ტყიბოლი! გეცადნათ მაინც, ეცებ გამოადგებოდით რათმე?.. მაგრამ თქვენ მართო თქვენი თავი გასოვთ, თქვენი კუქისთვის ზრუნეთ, ბატონო წამომადგენლო ახალის თაობისა, როგორც ყველა თქვენი ამხანაგები! გიმნაზიაში და უნივერსიტეტში კიდევ ჰგავხართ რალაქს, კიდევ იჩენთ სიკაცხლის ნიშანწყალს; ფუფუსებთ, ჰყვირით და ხანდახან ძალიანაც ჰყვირით ჩვენი მოღვაწეების წინააღმდეგ, მაგრამ შედგამთ ფეხს ცხოვრებაში და მშვიდობით, ჰქრება ყველაფერი!..“ კიდევ ბევრს რასმეს იტყვის მკითხველი, ნამეტურ ხანში შესული მკითხველი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან ბრალმდებლად უდგება ახალგაზღობას, მაგრამ ესეც საკმაოა მის ბრალდების დასანახავად. იჩენ რასაკვირველია, დამცველობას არ გაუწევთ დათას და პასუხს არ გაეცემთ მკითხველს. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს მოთხრობას, რომლიდანაც, ვისაც როგორი დასკვნა უნდა, იმისთანა გამოიყენოს ჩვენი გმირის შესახებ.

როგორც ვცით, ჯერ დათას გიმნაზიაში ყოფნის დროეე აღარაფერი ჰქონდა დათას მამას ზურაბს, და მის უნივერსიტეტში წასვლის შემდეგ სულ მალე მოულო ბოლო თავის უკანასკნელ საცხოვრებელს ისე, რომ დათასთვის ერთი გროშიც არ მიუტია. ბოლოს იმ ზომამდის მივიდა ზურაბი, რომ უკანასკნელ ავთმყოფობის დროს სამადლოთ ერთ მებოზელს არ დაეწინა, თავის სახლში, სადმე ტყეში ჩაკვებობდა და ნადირთა მსხვერპლი შეიქნებოდა. დათა არც კი მისულა თავის სოფელში, როცა უნივერსიტეტიდან ჩამოვიდა; გზაზე შეხვდა კეთილ მებოზელს და მადლობა უთხრა მამის სიკვდილის დროს პატრონობისთვის.

— ეცდები სამაგიერო გადაიხადოთ, უთხრა თვალმუხეც კრემლ მარულთმა დათამ და ჩამოართვა მაგარა ხელი. ამნაირათ უიმისოთაც ერთობ დაეალიანებულს ეს ვალიც კისერზე დააწვა. მართალია, უნივერსიტეტში ერთი წლის ყოფნის შემდეგ ოცმანეთიანი სტაპენდა იშოვა დათამ, მაგრამ ჯერ პირველ წელიწადს დაედვა ბევრი ვალი, თუ სტუდენტთა კასისი, თუ სხვების, და მეგრე როცა უნივერსიტეტი გაათავა, ბევრი ვალის აღება დაჭირდა კიდევ. ახალეე ერთმა ამხანაგმა ასესხა თბილისში ოც-ღა-სხუთი მანეთი აბასთუმანს წამოსასვლელად და თუ ენკენისთვიდან ადგილი არაფერი ექმნა, არ იცის, ან თვითონ როგორ იცხოვროს, ან ვალები როგორ გადაიხადოს.

II

შესრულდა ცხრა საათი; გაისმა აბასთუმანის

ვიწრო ხეობაში სამხედრო მუსიკის გრაილი, რომელიც დღის სიგრძობაზე იწვევდა მოავარკვეთა, და დათაც გამოვიდა სასტუმროდან. მისი ვარეთ გამოსვლა და სასტუმროს წინ მზრუნველის გავლა ერთი იყო. მზრუნველის ის იყო ტანი დაეხანა და მიღილა ბინისკენ. „კარგია, კითხვა მაინც აღარ დამპირდება“, იტიქრა დათამ და დედენეა უკან. გაიარა ჩამოდენივე ათი საყენი მზრუნველმა და შევიდა ერთ კოპწია სახლში. დათაც შედვა და ცოტა ხანს შემდეგ წელა ჩამოჰკრა ხარს. მას უნდოდა, ამ დღისათვის ენახა მზრუნველი და გაცლოდა ამ არა სტუმართმოყვარე ქალაქს, სადაც ერთი ღამის გათევაც კი სამი მანეთი დაუჯდა.

— როდის შეიძლება ბატონ მზრუნველის ნახვა? საქმე მაქვს მასთან, მოწონებთ ჰკითხა დათამ მსახურს, რომელმაც კარი გაუღო.

— ახლა ჩანს მიერთმებს, ნახებო საათის შემდეგ კანცელარის მმართველიც აქ იქნება და მაშინ მობრძანდით, უთხრა მსახურმა. დათამ დახედა საათს რომ დრო არ გამოპაროდა და წამოვიდა. ერთ ხანს იქვე დადიოდა, მაგრამ მერე თვალს მოჰკრა წყალ-გამდა ქალ-ტყეში მდგარ სკამ-ლოგინებს და წავიდა ერთის მათგანისკენ დასასვენებლათ. დათა შევიდა იმ ქალა ტყეში, რომელსაც აბასთუმანში „პირველს“, ან „მამლობელ რაშმას“ უძახიან და დაჯდა. დაჯდა და ერთხელაც არ მიუხედ-მოუხედვად გარეშეში, ერთხელაც არ შეუჩერებია თვალი შევნიერ თუქნარებს, რომელიშიც იყო ამ ქამათ, ის გავტუტა ფიჭებს, იქნება, მაშინ ანგარიშობა და ბრალთა თვის დანახარჯს და მომავალ ხარჯებს, რომლებსთვისაც, შეიძლება არც კი ყოფნოდა ნახესხები ფული?

— დათოკო, აქეთ, აქეთ გენაცვალე! მოგწა ამდროს დათას და უცებ გაიხედა იქითკენ, საიდანაც ხმა მოდიოდა. აშკარა იყო, რომ მას არაიენ უძახებდა, მაგრამ მაინც რაღაც სიამოვნება იგრძნო და უნებლიეთ მოავიწინა ის დრო, როცა საყვარელი დედა სწორეთ ამწარათ დაუძახებდა ხოლმე. მოხრებობით იჯდა ხანში შესული ქალი და უძახოდა პაწაწინა სამაოდ წლის, ბავშვს, რომელიც ტყისკენ მიბაჯბაჯებდა.

— აქეთ, დათოკო, აქეთ, მანკ გელი გიკინავს, ენა მოჩლოქით დაუძახა ქალმა ბავშვს კიდევ და წამოდა გზეზე, რომ წამოეყვანა, მაგრამ ბავში თვითსით გამოტრიალდა მხარულის სახით და ქალიც ისე დაჯდა; მას, ცხად იყო, რომ სიარული არამც თუ არ ეხალსინებოდა, ენარებოდა კიდევ. დათამ შეხედა ბავშვს, შეხედა და თვალს ეკარა მოაშორა. „რა შენიერია!“, გაუღელა დათას ბავშვის დანახეზე და ანგარიშს მიუტყმოლათ წავიდა მისკენ. რამდენსაც უახლოვდებოდა დათა ბავშვს, იმდენით უფრო-და-უფრო აშტურებდა თვალს. „ღმერთო ჩემო, სად მიხანახანეს!“ თითქმის ღმა მალდა წამოიძახა დათამ, როცა ახლოს მივიდა. ბავშვმა შეხედა და გაუღმა. დათამ მებრ ევლარ მოაშინა, დაიხარა უცებ და გრძნობით აიოცა პატარას. ბავშვს ეუტცხოდა ამგვარი ქცევა და, არამც თუ არ უტრირია, არც კი

მოუკმხუნენია სახე, გაიქცა ქალისკენ და ჩაუგორდა კალთაში. ქალმა, რომელიც გამდელი უნდა ყოფილიყო და არა დედა, რადგან არც ხნით და არც გარეგან შეხედულობით არ შეეფერებოდა დედათ, შეხედა დათას და მერე მიუხარუნდა ბავშვს:

— გაკოცა ბიძამ, გენაცვალე, გაკოცა? ჰკითხა მან და ახლა თვითონ ჩაიკრა გულში პატარა და დაუწყო კოცნა.

„ღმერთო ჩემო, ეს ქალიც მინახავს სადაღაც და ეს... მაგრამ არა, ბავში სად მენახება. ოთხი წელიწადია საქართველოში არ ვყოფილვარ“. ფიქრობდა დათა და მიჩერებოდა მათ. „იქნება დედა მე-ნახოს მისი!“ გაუღელა მხალოთ დათას და, ის იყო უნდოდა მისულყო და ეკითხა ქალისთვის მათი ენაობა, რომ უცერთ თვალი მოჰკრა პორტრეტით ხელში მზრუნველის სახლისკენ მიმავალს კაცს, და გადწყვიტა რა, რომ ის მზრუნველის კანცელარის მმართველი იქნებოდა, დანებდა თვით სიხარულის სისრულეში მოყვანას და თვითონაც წავიდა მზრუნველის სახლისკენ. მიმავალმა დახედა საათს და ჰნახა, რომ ნახევარი საათი გასულიყო კიდევ.

— მიბძანდით, უთხრა დათას მსახურმა რომელმაც გაუღო კარი პორტრეტის და სახლში შესვლა ევლარ მოასწრო. დათა შევიდა დერეფანში და მიცა სადარბაზო ბარათი. ცოტა ხანს შემდეგ დათა შევიყვანეს კანცელარის მმართველთან.

— დაბძანდით, ახლავე მოგასვენებ მზრუნველის თქვენს ენაობას, თქვა მმართველმა და შევიდა მეორე ოთახში.

ცოტა ხანს შემდეგ ასე საუბრობდენ მზრუნველი და დათა:

— საციოველია!.. რა არის, რომ აქ თხოულობთ ადგილს? რატომ რუსეთში არ გინდით დარჩეთ? იქ, უმჯობესად იმოვიდით და მე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ადგილი არა მაქვს! უთხრა მზრუნველმა.

— რუსეთში... რუსეთში მაშინაც ძლიერ უძლებთ ჰავას, როცა უნივერსიტეტში ვართ და ადგილი როგორა ეცდით იქ? ესეც არ იყოს, ჩვენ სამშობლოში გვიჩინება ყოფნა, თუ შესაძლებელი იქნება, უკანასკნელათამ

— თქვენ სამშობლოში? წამოიძახა მზრუნველმა, ვანა მთელ რუსეთს არ თვლით თქვენ სამშობლოთ? მარტო საქართველოთ თქვენი სამშობლო?.. თუ ასეა ადგილებიც მან მოგცეს! აი, გაქეთ კიდევ თქვენი სახანაურო შკალები და იქ იმსახურეთ, მე რა-ღაზე მაწუხებთ?.. არა, საქმე თქვენთვის ადგილი არა მაქვს და არც მექნება! თქვა მზრუნველმა და შეკაცა ზურგი.

— შევიდებით ბრძანდებოდეთ! აწი აღარ შეგაწუხებთ! თქვა ადგილებულმა დათამ და გამოვიდა ოთახიდან.

— რა ამბავი? მიმართა მას კარებში მმართველმა, მაგრამ დათას ხმა არ გაუცია, ისე გამოვიდა

კარში. დათა შევიდა ჭალა-ტყეში, მაგრამ ქალი და ბავშვი იქ აღარ იყვნენ. ის ჩამოჯდა იმავე სკამ-ლოგინზე, რომელზედაც ამ დღიას იჯდა, რომ გონება შემოეცრობა და გადაწვეტირა, შემდეგში რა ექნა. დიდხანს იფიქრა დათამ, დიდხანს, მაგრამ იმის მე-

ტი ევრაუერი ვერ მიაფიქრა, რომ ახლაც ექორავნა „პეტრეულანდია“ და წასულიყო ახასთუქინდან. ცოტა ხნის შემდეგ აღკადევაც და წაიღია თავის ნაფიქრის სისრულეში მოსაყვანათ.

ლუკა ზვარულა.

(შემდგომ იქნება)

გზნებული მკითხველის შენიშვნა



ვალის“ მე-21 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი გურიიდან ბ-ნ დარაჯსა „ვისი ბრაზილის“ სათაურით. ბ-ნი დარაჯი თავის წერილში კიცხვდა ერთ გურულ თავდას, რომ ის არ იქცევა ისე, როგორც შვეიცრის პატიოსანს კაცსა, და შით უმეტეს არ მიტყვება ზემოხსენებულ თავდას თავისი საქციელი, რომ მას უმალღესი სწავლა აქვს მიღებული და სალიტერატურო მოღვაწეობაში და ლიტერატურაშიც ცნობილია.

ამასთანვე ბ-ნმა დარაჯმა მოიყვანა რამდენიმე მაგალიტი, რომლითაც დაუმტკიცა თავად, ყველასა და ყოველგან დაჩაგრულის დაბალი წოდების, გლეხების უდიდრათ და ამპარტყენულით მოქცევა. მართალია, ბ-ნმა დარაჯმა არ დასახებლა ზემოხსენებული თავადი, მაგრამ ვინც ცოტათი მაინც თვალს აღწევს ქართულ ლიტერატურას, ის აღვილით გამოეცნობდა, რომ ეს თავადი ბძანდება ბ-ნი დ-მ. ერისთავი, (კარგათ ცნობილი ქართველ საზოგადოებისაგან, როგორც ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე) რადგანაც ბ-ნმა დარაჯმა თვადის ცინაობის გამოცნობა მიანიღო „ვისი ბრაზილის“ ავტორს (იხ. „მოამბე“ №№ VI და VII 1894 წ.) უნდა გამოეცდეთ, რომ ამ წერილმა ჩვენ ძლიერ დაგვიღონა, რადგანაც ის გამოდგა მიმართული ისეთ პირთან, როგორც ბძანდება ბ-ნი დ-მ. ერისთავი; შხათ ეიყვი მარტო ცილისწამებთ მიმეღო ზემოაღნიშნული წერილი, რამე პირადი ინტერესების მიერ გამოწვეული და ეგლოდი, მხოლოდ, თვით ბ-ნ ერისთავისა გან პასუხს, სიმართლეს და თავის გამართლებას.

აი „ვეფხისტ“ მე-113 ნომერში წაქციონზე თუ არა სათაურად: „პასუხის მაგიერ ბ-ნ დარაჯს“ ვამეხარდა: „აი ხომ იმართლებს თავს ბ-ნი ერისთავი, ეყოს სირცხვილთა „დარაჯს“ ვგეთი ცილის წამებამეთქი—ვაფიქრებ გუნებაში!.. მაგრამ... რალა მაგრამ, ბატონებო! საქმე ის არის, რომ საშინაოთ მოეტყუდოდ; თავის გამართლების მაგიერ ბ-ნი დ-მ. ერისთავი ედება ლობე-ყოჩის; ცხნის რომ ვერ შე-

წდომია, უნაირი უნდა დამტკირას, მოვლოია ქურნალ „კვალს“ და ზურგზე ბოლს ადნეს „უნდა აღვიაროო“, ბძანებს ბ-ნი ერისთავი, „რომ ამ ყოველ გვიარის სობრძინის და მეცნიერების ზღვას (იკულის-ხმით „კვალს“) იწვიათათ ეწუთები (აფერუმ), რადგანაც; როგორც ფრანკან, ეშაშობ იმისმა უძირო მარტემა არ ჩამთირიოს და არ დამარხოს და სხვა“...

ვერ გამოვიგა, რას ნიშნავს ესე და ან რათ ხარჯავს ამდენ სიტყვებს ბ-ნი ერისთავი; იმის მაგიერ რომ თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე, გაიძახის „კვალს“ არა ეკითხულობო! რა შუაშია ნეტავი აქ „კვალი“? „ვისი რა საქმე აქვს ჩემს კერძო ცხოვრებასთან? რის დარაჯი ბძანდება ბ-ნი „დარაჯიო“? საზოგადო ინტერესების თუ ჩემი კერძო ცხოვრებისა? და სხვა ამ ნაირი მარჯალიტებით საესეა ბ-ნ ერისთავის წერილი. ერთი სიტყვით ჩვენ არ გამოუვლდებოთ დაწერილებით წერილის ვარჩევას (ეს წერილი თვით ავტორის წინააღმდეგ ლაპარაკობს თვადან ბოლომდე, რასაც დაკვირვებულ მკითხველი აღვილით მიხედვდა). თვითი და ვიტყვი თ მას, რის თქმაც საჭიროთ დავიჩანებთ; დაწერილებითის პასუხს კი იმეღია თვით ბ-ნი დარაჯი ავტემს. ბ-ნი ერისთავი ბძანდება: „თუ ნიღაბს გიღებს (რა საჭიროა)? მაშინ ვაგებთ პასუხსა და ბოლოს კი გაიძახის: პასუხის ნაცვლათ მიიღებთ მხოლოდ ჩემს უდრძესს წიზღის განზიბას, რომელსაც იმეღი მაქ (ტყუილი იმეღია) შემოუეროდებთან ყველა რიგიანი პატიოსანი პირნი, ვინცკი მე მიცნობენო“. როგორ მოგწონს მკითხველო ეს უკანასკნელი სიტყვები: „პასუხის მაგერ მიღვით მსოფლით ჩემს უდრძესს განზიბას“? თუ პიღბილი არ უქვამია ბ-ნ ერისთავს, პირი რათ ეწვის ნეტავი?... მაგრამ გვეყოფა, მხოლოდ ვნატრობ გულთმისანი მყო და ვამბებინა: ზემოხსენებულ ბ-ნ ერისთავის წერილს რომ სტამბავად პატრუცქული „იერიის“ რედაქცია, თანაუგრძნობდა თვით რედაქცია თუ არა? დასასრულ გულ-ახსნილ უნდა აღვიარო, რომ სრულეებთ არ ვიცო ვინ არის ბ-ნი დარაჯი და ბ-ნ დ. ერისთავს ხომ ესე ვიცნობ მისი ნაწერებიდან, როგორი ცნობაც შეეუღლოა პროვინციულ ქურნალ-გაზეთების და წიგნების მკითხველს, მაგრამ გულმა არ მომიძიინია ჩემი შეხედულობა არ გამოამქმეღანებინა ამ საქმის გამო.

გურულა.

რედაქტორ—გამომცემელი ან. თ.—წერეთლისა.